

## **„აფხაზური დელეგაცია პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე“**

ოკუპირებული აფხაზეთის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დე-ფაქტო ეკონომიკის მინისტრი და ე.წ. დეპუტატები, 24-26 მაისს, ქ.პეტერბურგში იმყოფებიან, სადაც პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი, რომელიც 2018 წელს ლოზუნგით, „ნდობის ეკონომიკის შექმნისას“ ტარდება.

აფხაზური ე.წ. დელეგაცია ქ.პეტერბურგში რუსეთის პრეზიდენტის მრჩევლის, ორგანიზაციული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ანტონ კობიაკოვის მოწვევით იმყოფება.

ე.წ. დეპუტატ ლაშა აშუბას თქმით, ფორუმზე 15 000 ბიზნეს სამყაროს წარმომადგენელი და 140 ქვეყნის პოლიტიკოსი იმყოფება, რომელთა შორის არიან სახელმწიფოების მეთაურები, უმსხვილესი კორპორაციების ხელმძღვანელები და ფინანსისტები. აგრეთვე ფორუმს დაესწრება საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, იაპონიის პრემიერ-მინისტრი სინძო აბე და სხვები.

ლაშა აშუბას თქმით, ფორუმის ფარგლებში აფხაზური დელეგაცია გეგმავს პოლიტიკოსებთან და ბიზნეს სამყაროს წარმომადგელებთან შეხვედრებს.

---

24.05 2018 იხ.რუსულენოვან ვებ-გვერდზე [http://parlamentra.org/rus/news/detail/detail.php?ELEMENT\\_ID=1778](http://parlamentra.org/rus/news/detail/detail.php?ELEMENT_ID=1778)

## **„ერთიანი ბილეთით აფხაზეთში“**

პირველი ივნისიდან, ე.წ. ტურისტული სეზონის დაწყებიდან, ოკუპირებულ აფხაზეთში დასვენების მსურველებს შესაძლებლობა ექნებათ ავიაბილეთებთან და რკინიგზის ბილეთებთან ერთად შეიძინონ ე.წ. ერთიანი ბილეთი, რომელიც საშუალებას მიცემთ ქ.სოჭის აეროპორტიდან და ადლერის რკინიგზის სადგურიდან იმგზავრონ ოკუპირებული აფხაზეთის 5 ქალაქში.

ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით დასვენების მსურველებმა ე.წ. ერთიანი ბილეთის შესაძენად, მგზავრობამდე არაუგვიანეს 90 დღისა უნდა შეიტანონ განაცხადი რუსეთის რკინიგზის ვებგვერდზე. ამ სქემას ახორციელებს რუსეთის „ერთიანი სატრანსპორტო დირექცია“, რომელსაც ანაპიდან და კრასნოდარის მხრიდან ოკუპირებულ ყირიმში ტურისტების ჩაყვანის გამოცდილება გააჩნია.

მიკროავტობუსები, ცხრაჯერ დღეში, ქ. ადლერის რკინიგზის სადგურიდან ქ.სოჭის აეროპორტის გავლით ივლიან ოკუპირებული აფხაზეთის შემდეგ ქალაქებში- გაგრა 380 რუბლი, ბიჭვინთა 420 რუბლი, გუდაუთა 460 რუბლი, ახალი ათონი 520 რუბლი და სოხუმი 560 რუბლი.

ინფორმაციისთვის, 2017 წლის ოქტომბრისთვის, ოკუპირებულ აფხაზეთში დასასვენებლად, ე.წ. ერთიანი ბილეთის სქემით ისარგებლა 1403 ტურისტმა მაშინ, როდესაც ხსენებული ერთიანი სამგზავრო ბილეთით ისარგებლა 170 593 ტურისტმა.

---

24.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhaz-project.ru/po-edinomu-biletu-v-abkhaziu/>

## **„საქართველოდან კონტრაბანდული საქონლის შემოდინებამ იკლო“**

ოკუპირებული აფხაზეთის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის ე.წ. უფროსის მოადგილემ მსაუსტ მამბამ ენგურზე არსებული საკონტროლო - გამშვები პუნქტის მუშაობის შესახებ ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველო-აფხაზეთის ე.წ. საზღვარი სტანდარტებს არ შეესაბამება და ის სავალალო მდგომარეობაშია".

ექსპორტზე საუბრისას შამბამ აღნიშნა, რომ თხილის გაფორმება ხდება საბაჟოზე, ხოლო, რაც შეეხება იმპორტს ე.წ. უფროსის განმარტებით, აქ ყველა კატეგორიის საქონლის შემოტანა აკრძალულია, მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის ნებადართულია ხელბარგის გადმოტანა, რომელიც 50 კილოგრამს არ უნდა აღემატებოდეს და ეს ეხება გალის რაიონის მაცხოვრებლებს, რომლებიც ზუგდიდის რაიონში სურსათს, საყოფაცხოვრებო ტექნიკას და სხვა საქონელს ყიდულობენ.

თავის ინტერვიუში შამბა კონტრაბანდის საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ ცალკეული პირები ახერხებენ სხვადასხვა სახის საქონლის ხელბარგით შემოტანას, თუმცა დიდი ოდენობით, მსგავსი პროდუქციის შემოტანა არ ფიქსირდება. მისი განმარტებით, ძირითადად, ეს არის სასოფლო - სამეურნეო პროდუქცია, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სამშენებლო მასალა, ჭურჭელი, სუვენირები, ტანსაცმელი და საიუველირო ნაწარმი.

შამბა თვლის, იმისთვის, რომ კონტრაბანდული საქონლის შემოდინება შემცირდეს, სრულყოფილი გამშვები პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს და მიღებულ იქნას სატარიფო ზომები, რომლებიც საქართველოდან შემოტანილ საქონელზე დაწესდება.

---

21.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://www.ekhokavkaza.com/a/29240865.html>

### ***„დაურ კოვე ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებს შეხვდა“***

ოკუპირებულ ქ. სოხუმში, 25 მაისს, დე-ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეებმა მორიგი 44-ე რაუნდის დეტალები განიხილეს.

დაურ კოვემ განმარტა, რომ აღნიშნული შეხვედრები წარმოადგენს ტრადიციულ კონსულტაციებს ჟენევის დისკუსიების ჩატარებამდე.

ე.წ. მინისტრმა მაღლობა გადაუხადა თანათავმჯდომარეებს თანამშრომლობისთვის და აღნიშნა, რომ მათ მიიღეს წერილი, რომელშიც თანათავმჯდომარეები გამოდიან ინიციატივით, მოლაპარაკებების მონაწილეებმა წარმოადგინონ თავიანთი ხედვა, თუ როგორ გახადონ ჟენევის ფორმატის მუშაობა უფრო ეფექტური და ქრთულ-აფხაზური მოლაპარაკების პროცესის პერსპექტივებზე საუბრისას აღნიშნა, რომ აფხაზურ მხარეს არ სჭირდება ისეთი არაფრის მომცემი და პოპულისტური შეთავაზება, როგორცაა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. მისი თქმით, მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის საჭიროა რეალური ნაბიჯები და ამის მაგალითად „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმება დაასახელა.

თავის მხრივ, ევროსაბჭოს მხრიდან ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარემ, ტაივო კლარმა, დაადასტურა, რომ მათ მოლაპარაკებების მონაწილეებს გაუზავნეს წერილი დისკუსიების მუშაობის შესახებ თავიანთი მოსაზრებებით მკითხვარის სახით, რომლის მეშვეობითაც იმედოვნებენ შეისწავლონ აღნიშნულ საკითხზე მონაწილეების ხედვა.

შემდეგ, შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ჟენევის დისკუსიების 45-ე რაუნდთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, რომელიც 2018 წლის 9-10 ოქტომბერს გაიმართება.

---

25.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mfaapsny.org/ru/allnews/news/geneva-discussions/ob-ocherednoy-vstreche-s-sopredsedatelyami-zhenevskikh-diskussiy/>

### ***„აფხაზეთში რუსეთის ელჩის განცხადება“***

ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ე.წ. ელჩი ალექსეი დვინიანინი რუსეთ-საქართველოს 2011 წლის შეთანხმების "ვაჭრობის მონიტორინგისა და საბაჟო ადმინისტრირების შესახებ" რეალიზების მიზნით სატრასტო ფონდის დაფუძნებასა და კონტრაქტის გაფორმების

თაობაზე აფხაზურ საზოგადოებაში შექმნილ აჟიოტაჟს გამოეხმაურა. მისი თქმით, „აღნიშნული დოკუმენტი აფხაზეთის უფლებებსა და ინტერესებს არანაირად არ ლახავს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის შემფოთების საფუძველი არ არსებობს, რადგან ეს შეთანხმება არანაირად არ ლახავს აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ეროვნულ ინტერესებს. საბაჟო ტერმინალები, რომელზეც, როგორც ნავარაუდევია, შვეიცარიელი დამკვირვებლები განლაგდებიან, მკაცრად რუსეთის და საქართველოს ტერიტორიებზეა განთავსებული. შვეიცარიელ დამკვირვებლებს კი, დამოუკიდებელი აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ“.

ამასთან, რუსმა დილომატმა გაკვირვება გამოთქვა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ზურგსუკან საქართველოსთან მსგავსი შეთანხმების გაფორმების გამო აფხაზურ საზოგადოებაში ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის შეთანხმება ოკუპირებულ აფხაზეთს არანაირ ვალდებულებას არ აკისრებს.

---

25.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/7401-aleksei-dvinyanin-rossijsko-gruzinskoe-tamozhennoe-soglashenie-ne-ushchemlyaet-abkhaziyu>

### **„რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვიცე-პრემიერების მოვალეობები გაანაწილა“**

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა, მიმდინარე წლის 28 მაისს, ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც ახალი მინისტრთა კაბინეტის 10 ვიცე-პრემიერს დაევალა დოკუმენტით განსაზღვრული მოვალეობები.

კერძოდ, ვიცე-პრემიერ ვიტალი მუტკოს, ნაციონალური პროექტების რეალიზაციის ფარგლებში, დაევალა, რეგიონების განვითარება და ოკუპირებულ აფხაზეთთან და ოკუპირებული ცხინვალის რეგიონთან თანამშრომლობის და მთლიანობაში ნაციონალური პოლიტიკის და ნაციონალური ურთიერთობების კურირება.

ინფორმაციისთვის, ვიტალი მუტკო რუსეთის სპორტის მინისტრი და რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი იყო და მის სახელს გრანდიოზულ დოპინგსკანდალს უკავშირებენ, რომელსაც რუსულ სპორტში ჰქონდა ადგილი და რომლის გამოც, რუსეთის ოლიმპიურ გუნდს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე მოპოვებული 13 მედალი ჩამოართვეს და ეს ნაკრები 2018 წლის ოლიმპიადაზე საკუთარი დროშის ქვეშ ვერ გამოვიდა.

---

28.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://ria.ru/politics/20180528/1521538892.html>

### **„რაულ ხაჯიმბას მიმართვა“**

ქ. მოსკოვში სამუშაო ვიზიტით მყოფმა რაულ ხაჯიმბამ რუსეთის ფედერაციაში ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საელჩოში გაავრცელა მიმართვა, რომელშიც საუბარია სირიის არაბული რესპუბლიკის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და მასთან დიპლომატიური კავშირის დამყარების შესახებ.

კერძოდ, ე.წ. პრეზიდენტის ვებგვერდზე ვკითხულობთ, „2018 წლის 29 მაისს აფხაზეთის რესპუბლიკამ და სირიის არაბულმა რესპუბლიკამ განაცხადეს, საელჩოების დონეზე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და ურთიერთ აღიარების შესახებ“.

---

29.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე [http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT\\_ID=7962](http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=7962)

## **„რუსეთში 2018 წლის ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით კვლევების შედეგები გამოქვეყნდა“**

რუსეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევების ცენტრმა (ВЦИОМ), 14-21 მაისს, მიმდინარე წლის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩატარა.

გამოკითხვა ჩატარდა სატელეფონო ინტერვიუს სახით 18 წლის ასაკს ზევით მოსახლეობას შორის. გამოკითხულთა რაოდენობამ შეადგინა 2 000 რესპონდენტი. კვლევების ცენტრის ინფორმაციით, ცდომილება არ აღემატებოდა 2%-ს.

29 მაისს, კვლევების ცენტრმა წარმოადგინა შედეგები, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების 37% გეგმავს ზაფხულში დაისვენოს ოკუპირებულ ყირიმში. გამოკითხულთა 31% აპირებს კავკასიის შავი ზღვისპირეთში (კრასნოდარის მხარე, სოჭი, ტუაფსე, აფშერონი და სხვა) ზაფხულის გატარებას. გამოკითხულთა შორის 21% საზღვარგარეთის საზღვაო კურორტებზე აპირებს დასვენებას.

ამავე გამოკითხვის თანახმად, 2018 წელს), რესპონდენტები ზღვაზე დასვენებისას გეგმავენ (ერთ ადამიანზე გათვლით) დაახლოებით 44 000 რუბლის (1672 ლარი) დახარჯვას, რაც შარშანდელთან შედარებით 11%-ით მეტია.

შედარებისთვის, ოკუპირებულ აფხაზეთში დასვენების მსურველებს 7 დღით დასვენება 18 000-დან 40 000 რუბლამდე დაუჯდებათ.

---

29.05.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://wciom.ru/index.php?id=236&uid=9131>

## **„კონსტანტინე კოსაჩოვი სირიის მიერ აფხაზეთის აღიარებას ეხმიანება“**

რუსეთის ფედერალური საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, სირიის არაბული რესპუბლიკის მიერ, ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას ეხმაურება და აცხადებს, „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესი მხოლოდ ახლა იწყება“

კონსტანტინე კოსაჩოვის თქმით, რუსეთი რასაკვირველია მხარს უჭერს ამ პროცესს და განმარტავს, რომ ეს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების ე.წ. კანონიერი უფლებაა.

კოსაჩოვის განცხადებით, ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების ფაქტი ადასტურებს, რომ, მოლოდინის მიუხედავად, დასავლეთის ქმედებებს ამჯერადაც საპირისპირო შედეგები მოყვა.

---

29.05.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://eadaily.com/ru/news/2018/05/29/process-priznaniya-abhazii-i-yuzhnoy-osetii-tolko-nachinaetsya-kosachev>